GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

05 Haziran / ივნისი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6671.9	10.1%	17.3 %	1.5%

Başbakanımız Recep Tayyip Erdoğan'ın Göreve Başlama Törenine İştirak Etti

პრემიერ-მინისტრი რეჯეფ თაიფ ერდოღანის ინაუგურაციას დაესწრო

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili T.C. Cumhurbaşkanı Sn. Recep Tayyip Erdoğan'ın göreve başlama törenine katıldı.

Tören Ankara'da, Cumhurbaşkanlığı Külliyesi'nde yerini aldı.
Sn. Recep Tayyip Erdoğan törene katılanlara hitap etmişti.
Cumhurbaşkanı Erdoğan göreve başlama töreni sonrası konuklar onuruna Çankaya Köşkü'nde akşam yemeği verdi.
Törene Hükümet Başkanları, Başbakanları, üst düzey heyetler ve uluslararası kuruluş temsilcileri dahil olmak üzere yaklaşık 100 ülke temsilcisi katılmıştır.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის ინაუგურაციას დაესწრო.
ინაუგურაციის საზეიმო ცერემონია ანკარაში, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა.
ღონისძიების სტუმრებს რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სიტყვით მიმართა.

ინაუგურაციის შემდეგ, მაღალი დონის სტუმრებს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ჩანქაიას სასახლეში სადილზე უმასპინძლა.
ინაუგურაციის ცერემონიას 100 მდე ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, მათ შორის იყვნენ სახელმწიფოს ლიდერები, პრემიერ-მინისტრები, ასევე მაღალი დონის დელეგაციები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Gürcistan Cumhurbaşkanı Brüksel'de Bulunan Avrupa Parlamentosu'nda Nutuk Verdi

საქართველოს პრეზიდენტი ბრიუსელში ევროპარლამენტში სიტყვით გამოვიდა

Gürcistan Cumhurbaşkanı Sn. Salome Zurabishvili 31 Mayıs'ta Brüksel ziyareti kapsamında Avrupa Parlamentosu'nda nutuk verdi.

Cumhurbaşkanı Zurabishvili başta Gürcistan'ın Avrupa Birliği'ne entegrasyonu, Gürcistan'ın Avrupa kimliği, Avrupa Birliği'ne adayı ülke statüsü, Ukrayna'daki savaş ve Rusya ile ilişkileri olmak üzere belirli konuları ele aldı.

Sayın Cumhurbaşkanı nutuk başında Gürcülerin tarihi bir eşikte olduğunu vurguladı, çünkü yüzyıllar boyunca uğraştıktan sonra "Gürcistan'ın Avrupa ailesine geri dönmeyi" isterler.

Sayın Cumhurbaşkanı bunun için elinden geleni yapacağını ifade etmişti, sırf bunun anayasada öngörüldüğü için değil, "manevi bir inanç" olduğu için.

საქართველოს პრეზიდენტმა, სალომე ზურაბიშვილმა ბრიუსელში ვიზიტის ფარგლებში, 31 მაისს ევროპარლამენტს სიტყვით მიმართა.

მან რიგი საკითხები მიმოიხილა, მათ შორის, საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში, საქართველოს ევროპული იდენტობა და ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, ასევე ომი უკრაინაში და რუსეთთან ურთიერთობები.

გამოსვლის დასაწყისში, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ქართველები ისტორიულ მონაკვეთზე იმყოფებიან, რადგანაც მათ სურთ „საქართველო დაუბრუნდეს თავის ევროპულ ოჯახს" მრავალსაუკუნოვანი სწრაფვის შემდეგ.

პრეზიდენტმა ასევე განაცხადა, რომ იგი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ეს მოხდეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს კონსტიტუციითაა გათვალისწინებული, არამედ „მორალური რწმენის" გამო.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

GLOBALSEC/EPC

Sn. Irakli Garibashvili 29-31 Mayıs tarihlerinde Slovakya'nın Başkenti Bratislava'da düzenlenmiş Küresel Güvenlik Forumuna iştirak etmişti. Garibashvili forum kapsamında tematik tartışmalardan birisine katıldı.

31 Mayıs ile 1 Haziran tarihlerinde ise Başbakanımız Avrupa Siyasi Topluluğu'nun (EPC) ikinci zirvesinin yer aldığı Kişinev'de hazır bulunmuştu. Garibashvili Avrupa Siyasi Topluluğu'nun Genel Kurul Toplantısına iştirak etti.

Zirvenin Genel Kurul Toplantısını Moldova Cumhurbaşkanı Sn. Maia Sandu açmış olup Avrupa Siyasi Topluluğu üye ülkeleri liderlerine hitap etti. Açılış töreni sonrası toplantıya katılan heyet liderleri ortak

bir fotoğrafı çektirmişlerdir.

2. Zirveye Avrupa Ülkelerinin 47 lideri ile Avrupa Birliği'nin çeşitli müessese başkanları da katılmış oldular.

Başbakan Garibashvili Avrupa Siyasi Topluluğu çerçevesinde yuvarlak masa şeklinde düzenlenen "Güvenlik" adlı bir tematik tartışmaya katıldı.

Tematik tartışma iki ülkenin- Birleşik Krallık ile Polonya Başbakanlarının ortak başkanlığıyla yürütüldü.

Liderler Avrupa Kıtasında barış ve istikrarı sağlamak için atılacak adımlardan ve uğraşmadan söz etmişlerdir.

Tartışmada Gürcistan konusu da aktüel idi.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

ირაკლი ღარიბაშვილი გლობალური უსაფრთხოების (GLOBALSEC) ფორუმს დაესწრო, რომელიც 29-31 მაისს გაიმართა სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში. მან მონაწილეობა მიიღო ფორუმის ფარგლებში გამართულ ერთ-ერთ თემატურ დისკუსიაში.

31 მაისსა და 1 ივნისს კი, პრემიერ-მინისტრი იმყოფებოდა მოლდოვის დედაქალაქ კიშინეუში, სადაც ჩატარდა ევროპული პოლიტიკური გაერთიანების (EPC) მეორე სამიტი. ღარიბაშვილი ევროპული პოლიტიკური გაერთიანების პლენარული სესიის გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

სამიტის პლენარული სესია გახსნა მოლდოვის პრეზიდენტმა მაია სანდუმ. მან ევროპული პოლიტიკური გაერთიანების მონაწილე სახელმწიფოების ლიდერებს სიტყვით მიმართა.

გახსნის ღონისძიების შემდეგ, ევროპული პოლიტიკური გაერთიანების (EPC) შეხვედრის მონაწილე დელეგაციების ლიდერებმა ერთობლივი ფოტო გადაიღეს.

რიგით მეორე სამიტს ევროპის ქვეყნების 47 ლიდერი და ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტის ხელმძღვანელი დაესწრო.

პრემიერ-მინისტრმა მონაწილეობა მიიღო ევროპული პოლიტიკური გაერთიანების (EPC) ფარგლებში გამართულ თემატურ დისკუსიაში, სახელწოდებით - „უსაფრთხოება“, რომელიც მრგვალი მაგიდის ფორმატში ჩატარდა.

თემატური დისკუსია ორი ქვეყნის - გაერთიანებული სამეფოსა და პოლონეთის პრემიერ-მინისტრების თანათავმჯდომარეობით გაიმართა.

ლიდერებმა ევროპის კონტინენტზე მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად გადასადგმელ ნაბიჯებსა და ძალისხმევაზე ისაუბრეს.

დისკუსიის ფარგლებში ასევე აქტუალური იყო საქართველოს საკითხი.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

15. Uluslararası Şarap ve Alkollü İçecek Sergisi WINEXPO 2023 Açıldı

ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-15 საერთაშორისო გამოფენა WINEXPO 2023 გაიხსნა

Tiflis 15. Uluslararası Şarap ve Alkollü İçecek sergisi WINEXPO 2023'e ev sahipliği ediyor.
Sergi Çevre Koruma ve Tarım Bakanı Sn. Otar Shamugia, ExpoGeorgia fuar merkezi müdürü Sn. Resan Kikava ile Georgian International Wine Award jüri başkanı, Master of Wine Sn. Tim Atkin tarafından açıldı.
Uluslararası Şarap ve Alkollü İçecek sergisi WINEXPO Kafkasya bölgesinde, şarap yapımı sektörü için önemli olan çeşitli aktiviteleri birleştiren en büyük etkinliklerinden biridir.
Cari yıl WINEXPO 2023 sergisinde 7 ülkeden (Gürcistan, İtalya, Almanya, Macaristan, Türkiye, Ukrayna ve Ermenistan) yaklaşık 200 şirket ziyaretçilere kendi ürünleri ile hizmetini sunacaktır.

Sergi çerçevesinde 13. Uluslararası Şarap Yarışması- Georgian International Wine Award düzenlenmektedir. Yarışmaya katılan yaklaşık 250 şarap Gürcü ile yabancı uzmanlardan oluşan jüri tarafından değerlendirilip dereceye girenlere 8 kategoride altın, gümüş ve bronz madalya verilecektir.
WINEXPO sergisinin boyutu, katılan şirket ile ziyaretçi sayısının yıllık olarak artış göstermesi, serginin prestijli olduğunu, Gürcü şarabına olan ilginin ise arttığını kanıtlamaktadır.

თბილისი ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-15 საერთაშორისო გამოფენას WINEXPO 2023 მასპინძლობს.
გამოფენა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ, გამოფენების ცენტრის „ექსპოჯორჯია“ დირექტორმა, რესან ქიქავამ და კონკურსის Georgian International Wine Award ჟიურის თავჯდომარემ, ღვინის მაგისტრმა, ტიმ ატკინმა გახსნეს.
ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა WINEXPO კავკასიის რეგიონში, მეღვინეობის დარგში, ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც დარგისთვის მნიშვნელოვან სხვადასხვა აქტივობას აერთიანებს.
წელს, გამოფენაში WINEXPO 2023 შვიდი ქვეყნის (საქართველო, იტალია, გერმანია, უნგრეთი, თურქეთი, უკრაინა და სომხეთი) 200-მდე კომპანია საკუთარ პროდუქციასა და სერვისს სთავაზობს დამთვალიერებელს.
გამოფენის ფარგლებში, ტარდება ღვინის მე-13 საერთაშორისო კონკურსი Georgian International Wine Award. კონკურსში მონაწილე 250-მდე ღვინოს ქართველი და უცხოელი ექსპერტებისგან შემდგარი ჟიური აფასებს და გამარჯვებულებს, 8 კატეგორიაში, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დააჯილდოებს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

აღსანიშნავია, რომ გამოფენის WINEXPO მასშტაბი, მონაწილე კომპანიების და ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც ადასტურებს, რომ გამოფენა პრესტიჟულია, ხოლო ქართული ღვინისადმი ინტერესი გაზრდილია.

Gürcistan'da Enflasyon
ინფლაცია საქართველოში

Mayıs 2023'de Gürcistan'da enflasyon oranı bir önceki aya göre %-0.1 olarak gerçekleşti. Yıllık enflasyon oranı ise %1.5'i teşkil etmiştir.
2023 წლის მაისში წინა თვესთან შედარებით ინფლაციის დონემ საქართველოში -0.1 პროცენტი, ხოლო წლიური ინფლაციის დონემ 1.5 პროცენტი შეადგინა.

Yıllık enflasyon oluşumunun temel nedeni aşağıdaki gruplarda fiyatların değişimi olmuştur:
წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

- Et ve et ürünleri / ხორცი და ხორცის პროდუქტები - 9.7% ⬆
- Süt, peynir ve yumurta / რძე, ყველი და კვერცხი - 9.3% ⬇
- Alkolsüz içecekler / უალკოჰოლო სასმელები - 7.1% ⬇
- Sebze / ბოსტნეული - 6.3% ⬇
- Balık / თევზეული - 6.0% ⬇
- Kahve, çay ve kakao / ყავა, ჩაი და კაკაო - 4.6% ⬇
- Şeker ve diğer tatlılar / შაქარი და სხვა ტკბილეული - 2.2% ⬇
- Ekmek ve ekmek ürünleri / პური და პურპროდუქტები - 1.8% ⬇
- Yağlar / ზეთი და ცხიმი - 17.0% ⬇
- Meyveler / ხილი - 12.0% ⬆
- Ulaşım / ტრანსპორტი - 12.9 % ⬆



Avrupa Birliğinde Türk Fındığına Alternatif Bir Tedarikçisi Olarak Gürcistan'ı Tercih Ederler

ევროკავშირში თურქული თხილის ალტერნატიულ მიმწოდებლად საქართველოს ანიჭებენ უპირატესობას

1 Haziran'dan İtibaren Tüm Gıda Üretim Tesisleri İçin HACCP Uygulaması Zorunlu Olacaktır

1 ივნისიდან HACCP-ის დანერგვა სურსათის მწარმოებელი ყველა ობიექტისთვის სავალდებულო ხდება

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING

2024 Yılında Gürcistan Dünya Turizm Günü'ne Ev Sahipliği Yapacaktır

2024 წელს საქართველო მსოფლიო ტურიზმის დღეს უმასპინძლებს

Fıstık Gürcistan Pazarında %1 000'lik Fiyat Zammıyla Satılıyor

ქართულ ბაზარზე ფისტა 1 000%-იანი ფასნამატით იყიდება

Gayrimenkul Kiralık Fiyatları Düştü

უძრავი ქონების ქირაზე ფასი შემცირდა

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LCWAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

2023 Yılın İlk 4 Ayda Rusya'dan Kömür İthalatı %2.331 Oranında Arttı

2023 წლის 4 თვეში რუსეთიდან ქვანახშირის იმპორტი 2,331%-ით გაიზარდა

Türkiye Rus Petrolü İthalatı Önemli Ölçüde Arttırdı

თურქეთმა რუსული ნავთობის იმპორტი მკვეთრად გაზარდა

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6335 TRY/GEL – 0.1261 EUR/GEL – 2.8376 GBP/GEL – 3.3011

USD/GEL

29 - 05 Haziran 2023



USD/TR

29 - 05 Haziran 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

TRY/GEL

29 - 05 Haziran 2023

BTC – 26 823. 6

29 - 05 Haziran 2023

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING